

## სავალდებულო ინფორმაციის ავტომატური გაცვლა საგადასახადო სფეროში შესატყობინებელ სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებით. ევროპული კავშირის 6804/18 დირექტივის ანალიზი

### აბსტრაქტი

განსაკუთრებით, ბოლოდროინდელი სკანდალების შედეგად, რომლებმაც გამოკვეთა გადასახადებისათვის თავის არიდების/გადასახადების თავიდან აცილების ფენომენი, კერძოდ, „პანამის დოკუმენტები“ (Panama Papers) და „სამოთხის დოკუმენტები“ (Paradise Papers), საერთაშორისო დონეზე, საკმაოდ საგრძნობია საკუთარი კლიენტებისათვის სასაზღვრო სქემების დამპროექტებელი შუამავლების მიერ ოფშორულ კომპანიებს შორის ან მათი მეშვეობით აქტივების დანაწილების შესახებ [ინფორმაციას] სავალდებულო გამჟღავნების ვალდებულების აუცილებლობა. ეს კომპლექსური სასაზღვრო სქემები ხელს უწყობს გადასახადებისაგან თავის არიდებას, საგადასახადო თაღლითობას და ფულის გათეთრებას, რადგან თითოეული საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში ფასდება სისტემის ნაწილი.

ამ სცენარის გათვალისწინებით, გადასახადების თავიდან აცილების/გადასახადებისათვის თავის არიდების საწინააღმდეგოდ და ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებისათვის წესთა ერთობლიობის დასადგენად წარდგენილ იქნა ევროპული კავშირის 6804/18 დირექტივა. მისი ძალაში შესვლის მომენტიდან არსებობს იმ შუამავლების ვალდებულება, რომლებიც კლიენტებს სთავაზობენ და ახდენენ ტრანსნაციონალური ფინანსური სქემები კომერციალიზაციას გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით, რომ შეატყობინონ ასეთი მექანიზმების არსებობა იმ წევრი სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოებს, რომლებსაც ისინი განეკუთვნებიან. თავის მხრივ, ზემოხსენებული წევრი სახელმწიფოების ორგანოები, დირექტივის მიხედვით, იქნებიან ვალდებული, გაცვალონ ეს ინფორმაცია ერთმანეთში, რათა გაზარდონ კონსულტანტთა და საგადასახადო დამგეგმავთა საქმიანობაზე კონტროლი, მიუხედავად რისკის გარდაუვალობისა.

### 1. შესავალი

გადასახადებისათვის თავის არიდების/გადასახადების თავიდან აცილების წინააღმდეგ ბრძოლა არის საკითხი, რომელიც დამოუკიდებლად ვერ მოახდენს გავლენას მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოებზე. ეს არის გლობალური ფენომენი და მას უნდა მივუდგეთ მკაცრი წესების გამოყენებით საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე.

უფრო კონკრეტულად, საინტერესოა, რა გაკეთდა ამ საკითხზე ევროპული კავშირის მიერ. ამ კონტექსტში, გადასახადებისათვის თავის არიდების/გადასახადების თავიდან აცილების<sup>2</sup> ფენომენის საწინააღმდეგო ზომების მიღებისაკენ მიმავალი ბილიკი, საკმაოდ გრძელია და ბევრი სირთულეზე გადის.

<sup>1</sup> *ლოჯი ვანვიტელის* სახ. კამპანიის უნივერსიტეტის, *ჟან მონეს* პოლიტიკურ მეცნიერებათა განყოფილების დოქტორანტი შედარებით კერძო სამართალში.

<sup>2</sup> *Saxunova, D., Sulikova R., Szarkova, R., Tax Management Hierarchy – Tax Fraud and a Fraudster, Management International Conference, 2017, 633-644.* ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დეფინიციის მიხედვით, თავის არიდება არის კანონსაწინააღმდეგო ქვევა, შემდგარი ყველა იმ უკანონო მეთოდისაგან, რომლებიც მიზნად ისახავს გადასახადებისა და დაბეგვრის შემცირებას ან აღმოფხვრას. ეს ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადასახადის გადამხდელი მთლიანად ან ნაწილობრივ იკლებს საგადასახო ვალდებულებას დასაბეგრი თანხის დაფარვით ან გადასახადის [სახეობის] კისრებით

ამ საკითხის გადასაწყვეტად, საკანონმდებლო წინადადება მოთხოვნილ იქნა ევროპული კავშირის პარლამენტის 2016 წლის 6 ივლისის რეზოლუციით საგადასახადო დადგენილებებისა და სხვა მსგავსი ბუნებისა და ზემოქმედების მქონე ზომების შესახებ.<sup>3</sup> კერძოდ, ამ რეზოლუციის მიზანი იყო, წარმოედგინა საკანონმდებლო წინადადება, რომლითაც მოხდებოდა შუამავლებისათვის<sup>4</sup> მოთხოვნა კომპლექსური მექანიზმებისა და სპეციალურ მომსახურებების სავალდებულო გამჟღავნების მოთხოვნა, რამდენადაც ისინი ეხება ევროპული კავშირის საგადასახადო თავშესაფრების სიაში შემავალ კონკრეტულ სახელმწიფოებს და არა-თანამშრომლურ იურისდიქციებს<sup>5</sup> და რომლებიც შექმნილია კლიენტებისათვის და მათ მიერ გამოიყენება გადასახადებისათვის თავის არიდების, საგადასახადო თაღლითობის, ფულის გათეთრებისა და ტერორისტების დაფინანსების ხელშესაწყობად.

მომდევნო ნაბიჯი გადაიდგა 2017 წლის 21 ივნისს, როდესაც ევროპულმა კომისიამ მიიღო ადმინისტრაციულ თანამშრომლობაში ცვლილებების შემტანი დირექტივის წინადადება.

მიუხედავად ამისა, 2011/16/EU<sup>6</sup> დირექტივა იყო პირველი ნაბიჯი საგადასახადო სფეროში სავალდებულო ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით შესატყობინებელი სასაზღვრო შეთანხმებების შესახებ. კონკრეტულად, შეთავაზებულ წინადადებაში მოცემული დებულებები მიმართულია იმისკენ, რომ უზრუნველყოს, საგადასახადო შუამავლების ან გადასახადის გადამხდელთა მიერ შექმნილი სასაზღვრო ზომების შესახებ ვალდებულების დადგენით, ადრეული ინფორმირება ასეთი სქემების შეტყობინების თაობაზე შუამავლებთან დაკავშირებით და შეგროვებული ინფორმაციის შეყვანით ევროპული კავშირის საგადასახადო ორგანოებს შორის ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სისტემაში.<sup>7</sup>

2018 წლის 13 მარტს ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხთა საბჭომ დასახა გზა მისი მიღებისათვის. ევროპული კავშირის ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხთა მინისტრებმა მიაღწიეს ამ შეთანხმებას, რომელიც, გამჭვირვალობის მიზნებისათვის, იწყებოდა ევროპული კომისიის შეთავაზებიდან იმ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე ახალი მარეგულირებელი ჩარჩო მექანიზმების შექმნის შესახებ, რაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო

(assumption of the tax). თავის არიდება საგადასახადო ბაზასთან მიმართებით მიიღწევა დასაბეგრი შემოსავლის მთლიანად ან ნაწილობრივ დეკლარირებისგან თავის შეკავებით ან შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯების ფიქტიურად გაზრდით (ფიქტიური პასუხისმგებლობის სიმულაცია). ამის საპირისპიროდ, გადასახადების თავიდან აცილება არის ქმედება, რომელიც შესაბამეა ამ უკანასკნელს, მაგრამ არა საგადასახადო დებულებების არსს. ის ხორციელდება ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული საშუალებებით ნამდვილი ეკონომიკური მიზნის გარეშე, რათა გვერდი აუაროს საგადასახადო სისტემით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ან აკრძალვებს და მიღწეულ იქნას გადასახადის შემცირება ან ანაზღაურება, რაც სხვაგვარად იქნებოდა შესაძლებელი.

<sup>3</sup> Official Journal of the European Union, European Parliament Resolution of 6 July 2016 on Tax rulings and Other Measures Similar in Nature or Effect, (2016/2038(INI)), 2016. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52016IP0310>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 05/06/2018.

<sup>4</sup> OECD-ის მიერ მოცემული დეფინიციის მიხედვით, არსებობს საგადასახადო შუამავლების ორი ძირითადი ჯგუფი: საგადასახადო მრჩეველები და ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები.

(i) საგადასახადო მრჩეველები არიან იურიდიული, ბუღალტრული და სხვა პროფესიული ფირმები, რომლებიც იძლევიან ურთულეს საგადასახადო რჩევებს და სწევენ სხვა მომსახურებას. საგადასახადო მრჩეველების მიერ განხორციელებული საქმიანობა შეეხება საგადასახადო კანონმდებლობის დაცვას, საგადასახადო აღრიცხვას, ყოველდღიურ კონსულტაციებს, ბიზნესისა და საგადასახადო დაგეგმვას და დავების გადაწყვეტას.

(ii) ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ და ამარტივებენ ფინანსურ ინსტრუმენტებს და სხვა მექანიზმებს, რომლებიც იძლევა საშუალებას გადასახადების თავიდან აცილებისა, მათ შორის ისეთებს, რომლებიც აგრესიულ საგადასახადო დაგეგმვადაა მიჩნეული.

<sup>5</sup> European Commission, Common EU list of third country jurisdictions for tax purposes, Taxation and Customs Union. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <[https://ec.europa.eu/taxation\\_customs/tax-common-eu-list\\_en](https://ec.europa.eu/taxation_customs/tax-common-eu-list_en)>. უკანასკნელად გადამოწმდა: 05/06/2018.

<sup>6</sup> Council of the EU, Directive 2011/16/EU on Administrative cooperation in the field of taxation and repealing Directive 77/799/EEC, Official Journal of the European Union, 15 February 2011, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32011L0016&from=EN>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 01/06/2018.

<sup>7</sup> <<http://www.europarl.europa.eu/legislative-train/theme-deeper-and-fairer-internal-market-with-a-strengthened-industrial-base-taxation/file-tax-transparency-for-intermediaries>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 05/06/2018.

გადასახადებისათვის შესაძლო თავის არიდების/გადასახადების თავიდან აცილების წინააღმდეგ.

ევროპული კავშირის 6804/18<sup>8</sup> დირექტივა შესატყობინებელ სასაზღვრო ზომებთან დაკავშირებით ინფორმაციის სავალდებულო ავტომატური გაცვლის შესახებ უზრუნველყოფს საერთო მარეგულირებელი ჩარჩოს შემოღებას საგადასახადო ინფორმაციის ავტომატური და სავალდებულო გაცვლისათვის. ეს ვალდებულება შეეხება სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ეროვნული ორგანოების წინაშე პოტენციურად უკანონო საქმიანობას, რომლის შეთავაზებულია შუამავლების მიერ გადასახადებისათვის თავის არიდების ფენომენტთან დაკავშირებით, იმ თავისებურებით, რომ მათ უნდა ჰქონდეთ, სულ ცოტა, ერთი ან მეტი ტრანს-სასაზღვრო ელემენტი.<sup>9</sup>

ევროპული კავშირის 6804/18 დირექტივის სფეროში საგადასახადო შუამავლების როლი შეიძლება გამოხატოს კლიენტებისათვის საგადასახადო დაგეგმვასთან დაკავშირებულ ინფორმაციის გაცვლაში. კერძოდ, ინფორმაცია შუამავლების მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ეროვნულ საგადასახადო ორგანოებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ ინფორმაციის ავტომატური ეფექტიანი გაცვლა ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების საგადასახადო ორგანოებს შორის.<sup>10</sup>

საგადასახადო შუამავლების მიერ შეთავაზებული მექანიზმები განიმარტება როგორც აგრესიული ტრანს-სასაზღვრო საგადასახადო დაგეგმვა და მათ აქვთ გარკვეული მახასიათებელი, რომელიც, ზოგიერთი ხრიკით, გადასახადებისათვის თავის არიდების/გადასახადების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. მათში, კერძოდ, შედის ის სქემები, რომლებიც შეიცავს ტრანს-სასაზღვრო დანაკარგებს საგადასახადო პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიზნით,<sup>11</sup> შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმების გამოყენებას, რომლებიც მიიჩნევა უკეთესად გამორჩეული თვისობრიობისა და მათი წარმომშობი საგადასახადო მოწესრიგებისათვის, ან სხვა ქვეყნებთან დადებული შეთანხმებები, რომლებიც არ იცავენ საერთაშორისოდ დამკვიდრებულ გარკვეულ საკანონმდებლო სტანდარტებს.<sup>12</sup>

მოყვანილი წანამძღვრების გათვალისწინებით, ამ სტატიის მიზანია, გაანალიზოს ევროპული კავშირის 6804/18 დირექტივით შემოღებული სიახლეები ტრანს-სასაზღვრო საგადასახადო დაგეგმვის მექანიზმებთან დაკავშირებით ინფორმაციის ავტომატური და სავალდებულო გაცვლის შესახებ, პანამისა და სამოთხის დოკუმენტების უკანასკნელი საქმეებისა და OECD-ის „საფუძველი შემცირებისა და მოგების გადატანის“ (Base Erosion and Profit Shifting (BEPS)) გათვალისწინებით.

## 2. გადასახადებისათვის თავის არიდების/გადასახადების თავიდან აცილების შინაარსი ორი კონკრეტული საქმის ანალიზით: პანამისა და სამოთხის დოკუმენტები

გადასახადებისათვის თავის არიდების/გადასახადების თავიდან აცილების ფენომენტთან ბრძოლის აუცილებლობა ძალიან მგრძობიარე საკითხია მსოფლიო დონეზე,<sup>13</sup> განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ უკანასკნელ საქმეებს, საიდანაც აღმოცენდა გადასახადებისაგან „თავის დაღწევის“ სიტუაცია გარკვეული სქემების საშუალებით, რომლებიც შეთავაზებულია საგადასახადო შუამავლების მიერ და რაც აძლევს საშუალებას მათ კლიენტებს, გადაიტანონ თავიანთი კაპიტალი ქვეყნებში, სადაც

<sup>8</sup> EU Directive 6804/18, Mandatory automatic exchange of information in the field of taxation in relation to reportable cross-border arrangements, Council of the European Union, Attached I (2), Brussels, 2018. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-6804-2018-INIT/en/pdf>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 29/05/2018.

<sup>9</sup> *Oberson, X.*, International Exchange of Information in Tax Matters. Towards Global Transparency, Elgar, 2015, 80-143.

<sup>10</sup> *Kerzner, D. S., Chodikoff, D. W.*, International Tax Evasion in the Global Information Age, Palgrave Macmillan, Irwin Law Inc., 2016, 33-39.

<sup>11</sup> *Borroni, A.*, A Comparative Survey on International Corporate Taxation Systems: The American Model, Digital Properties and Digital Consumers: Nuovi Diritti e Nuove Tutele, *Piccinelli, G., Mazzei G., Tisci, A.* Edizioni Scientifiche Italiane, Seconda Università degli studi di Napoli - Facoltà di Studi Politici e per l'Alta Formazione Europea e Mediterranea *Jean Monnet*, 2011, 246-251.

<sup>12</sup> *Prosser, K. J., Murray, R.*, Tax Avoidance, Sweet and Maxwell, Thomson Reuters, 2012, 2-6.

<sup>13</sup> *Borroni, A.*, დასახ. ნაშრომი, მე-11 სქ., 283.

საგადასახადო იურისდიქცია მიიჩნევა ბევრად უფრო „ლმობიერად“ - ე.წ. „საგადასახადო სამოთხეები“ (Tax Heaven).<sup>14</sup>

კერძოდ, ყურადღება გამახვილდება ორ ბოლოდროინდელ სკანდალზე ამ საკითხთან დაკავშირებით: „პანამის დოკუმენტები“ და „სამოთხის დოკუმენტები“. ეს არის ორი კონფიდენციალური დოკუმენტების დოსიე, რომლებიც საგამომიებო ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმმა (ICIJ) გამოიტანა სააშკარაოზე.

ორივე კვლევა ავლენს ინფორმაციულ ვარაუდებს ოფშორული ანგარიშებზე, რომლებიც ეკუთვნის კომპანიებსა და პიროვნებებს მსოფლიო პოლიტიკიდან, ეკონომიკიდან, სპორტიდან, კინოდან და გართობის სფეროდან და რომლებიც შეეცადნენ გადასახადებისათვის თავის არიდებას თავიანთი სიმდიდრის გადამალვით საგადასახადო სამოთხეებში.<sup>15</sup>

უფრო კონკრეტულად, პანამის დოკუმენტები პირველად გამოქვეყნდა 2016 წლის აპრილში; ამ გამოძიების სახელი წარმოდგება, სახელდობრ, პანამაში დაფუძნებული იურიდიული ფირმა Mossack Fonseca-დან.<sup>16</sup> ეს საქმე შეეხება არსებით დოსიეს, 11 მილიონზე მეტი დოკუმენტით, რომლებიც შეიცავენ 200 ათასზე მეტ ოფშორულ კომპანიასა და ორგანიზებულ სქემას. გამოძიებამ მიგვიყვანა 1970 წლიდან 2016 წლამდე პერიოდის 11.5 მილიონი საიდუმლო ფაილის აღმოჩენასა და ანალიზამდე. დოკუმენტებმა გამოკვეთა მექანიზმები, რომელთა წყალობითაც ფიზიკური და იურიდიული პირები ბრუნვაში უშვებდნენ ფულსა და იხდიდნენ გადასახადებს დიდი ფულადი მასიდან. ამ გამოძიებით გამოწვეულმა ჯაჭვურმა რეაქციამ მოიცვა ბანკები და იურიდიული ფირმები, რომლებიც, სკანდალში ჩართული კლიენტთა დახმარებისას, არ იცავდნენ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობას და ამიტომაც არ ჰქონდათ იდენტიფიცირებული დამკვეთთა წარმომავლობა და ადეკვატური შემოწმება.<sup>17</sup>

სამოთხის დოკუმენტებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი გამოქვეყნდა 2017 წლის ნოემბერში, რითაც გამოაშკარავდა, მთელი მსოფლიოდან, საგადასახადო თავშესაფრებში პოლიტიკოსების, მეწარმეთა, სამეფო ოჯახების წევრთა და მსოფლიოში ცნობილ მუსიკოს ვარსკვლავთა ინვესტიციები. პანამის დოკუმენტების შემდეგ, ინფორმაციის ახალი უზარმაზარი გაჟონვა საფარველს ხდის ადამიანების ვრცელ სიას, რომლებმაც ინვესტიციები ჩადეს ოფშორულ კომპანიებში.<sup>18</sup> დოსიე 13 მილიონზე მეტი კონფიდენციალური დოკუმენტის შემცველ მონაცემთა ბაზისგან შედგება, რომელიც მომდინარეობს ოფშორულ კომპანიების მომმარაგებელი და მმართველი ორი საერთაშორისო პროფესიული ფირმიდან. ესენია, სახელდობრ, ბერმუდშია დაფუძნებული, სხვადასხვა საგადასახადო სამოთხეში, ცხრა ფილიალის მქონე Appleby და მეორე - Asiatic Trust სათაო

<sup>14</sup> იხ. ვებ-გვერდი: <<http://www.oecd.org/ctp/glossaryoftaxterms.htm>>. „საგადასახადო სამოთხე „კლასიკური“ გაგებით აღნიშნავს ქვეყანას, სადაც საერთოდ არ არის დაწესებული ან დაწესებულია დაბალი გადასახადი. იგი გამოიყენება კორპორაციების მიერ იმ გადასახადების თავიდან აცილებისათვის, რომლებიც სხვაგვარად იქნებოდა გადასახდელი მაღალი გადასახადის მქონე ქვეყანაში. OECD-ს ანგარიშის მიხედვით, საგადასახადო სამოთხეებს აქვს შემდეგი საკვანძო მახასიათებლები:

(i) არ არის გადასახადები ან ისინი ნომინალურია;  
 (ii) ინფორმაციის ეფექტიანი გაცვლის ნაკლებობა;  
 (iii) საკანონმდებლო, სამართლებრივი და ადმინისტრაციული დებულებების მოქმედებაში გამჭვირვალობის ნაკლებობა.

ამ საკითხზე იხილეთ ასევე: *Gravelle, J. G.*, Tax Havens: International Tax Avoidance and Evasion, Congressional Research Service, 2010, 3-6.

<sup>15</sup> *Müller-Knospe, B.*, From Panama to Paradise. An insight into secret financial dealings in the world of multinational corporations through the “Panama Papers” and the “Paradise Papers”, GRIN Economy, 2017, 2-5.

<sup>16</sup> *Obermayer, B., Obermaier, F.*, The Panama Papers: Breaking the Story of How the Rich and Powerful Hide Their Money, Oneworld Publications, 2017.

<sup>17</sup> *Della Rovere, A., Vincenti, F.*, Dai Panama Papers ai Paradise Papers: la nuova inchiesta sui paradisi fiscali, Valente Associati GEB Partners, IPSOA, 2017. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.ipsoa.it/documents/fisco/fiscalita-internazionale/quotidiano/2017/11/07/dai-panama-papers-ai-paradise-papers-la-nuova-inchiesta-sui-paradisi-fiscali>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 11/06/2018.

<sup>18</sup> *Montalban, P.*, Paradise Papers: Offshore Investments of the Rich and Powerful, Lulu Press Inc, 1st Ed., 2017.

ოფისით სინგაპურში, 7 სხვა ლოკაციით ისეთ ქვეყნებში, როგორცაა კუკის კუნძულები, ჰონგ-კონგი, პანამა და სამოა.

ეს გამოძიებები მნიშვნელოვანია დირექტივის ანალიზისათვის, რადგან ხაზს უსვამს საგადასახადო სამოთხეთა როლს საიდუმლოების უზრუნველყოფის მიზნით ყველასათვის, ვინც გადაწყვეტს ინვესტირებას. კერძოდ, საიდუმლოება ფარავს ინვესტორებს, ინვესტიციების ოდენობა და ინვესტიციების მეთოდებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, პანამის დოკუმენტებსა და სამოთხის დოკუმენტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. სამოთხის დოკუმენტები მიჩნეულია უფრო მეტად საგადასახადო ოპტიმიზაციის მსგავსად, ვიდრე თაღლითობისა, რომელიც უფრო დაუფასებელია დაინტერესებული კომპანიების მიერ, ვიდრე ამ სკანდალის დემონსტრაციის განმარტოვებელი მედიისათვის. პანამის დოკუმენტებისაგან განსხვავებით, სამოთხის დოკუმენტები შეიძლება, მეტნაკლებად, მიჩნეულ იქნას ფულის გათეთრებად, რომელიც მომდინარეობს საგადასახადო თაღლითობის და სხვა უკანონო საქმიანობისაგან; იგი უფრო, ზოგიერთ სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შექმნილი საგადასახადო ოპტიმიზაციის სქემაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მექანიზმთა უდიდესი ნაწილი ამჟამად თაღლითურად ვერ დაკვალიფიცირდება.<sup>19</sup>

### 3. ამერიიდან 6804/18 დირექტივის დებულებები

დირექტივის მიზანია, შექმნას ახალი წესები გამჭვირვალების შესახებ საგადასახადო შუამავლებისათვის, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის რომ მისცეს შესაძლებლობა კომპეტენტურ საგადასახადო ორგანოებს ყოველთვის იყვნენ საქმის კურსში მათ ტერიტორიაზე რეზიდენტი კომპანიებისა და ფიზიკური პირების ნებისმიერი საქმიანობის შესახებ.<sup>20</sup>

წევრი სახელმწიფოების საგადასახადო ორგანოებს შორის ავტომატური ინფორმაციის გაცვლა არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომპანიების ისევე, როგორც ფიზიკურ პირების მიერ გადასახადების არსებითად შემცირების საშუალების მიძემი საგადასახადო დაგეგმვის მექანიზმების უფრო ეფექტიანი ამოცნობა. დირექტივის სიახლე შეეხება ნებისმიერ ინსტიტუციას, კომპანიასა თუ ფიზიკურ პირს, ვისი საქმიანობაცაა საგადასახადო რჩევების გაცემა, რაც შეიძლება აისახოს გადასახადებისათვის თავის არიდებაში/გადასახადების თავიდან აცილებაში.<sup>21</sup>

ამიტომაც, კლიენტისადმი ტრანს-სასაზღვრო საგადასახადო დაგეგმვის მექანიზმების შემთავაზებელ ნებისმიერ შუამავალს (ამ უკანასკნელის მახასიათებელი ელემენტები გაანალიზდება მომდევნო პარაგრაფებში) აქვს გარდაუვალი ვალდებულება, შეატყობინოს ასეთი სქემების არსებობის თაობაზე წევრი სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოებს რეზიდენტობის მიხედვით.<sup>22</sup>

ზოგადად, სასაზღვრო საგადასახადო დაგეგმვის შეთანხმება არის მექანიზმი, რომლის შედეგებიც შეეხება ერთზე მეტ იურისდიქციას ევროპული კავშირის ფარგლებში - ან მესამე ქვეყნებთან არსებული შეთანხმებებსაც კი.<sup>23</sup> დირექტივების დებულებების შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ საგადასახადო დაგეგმვის შემუშავებასა და შემდგომ განხორციელებაში ჩართულმა ნებისმიერმა შუამავალმა

<sup>19</sup> *Eicke, R., Tax Planning with Holding Companies - Repatriation of US Profits from Europe, Eurotax, Wolters Kluwer Law and Business, 2009, 32-34.*

<sup>20</sup> OECD, *Tax Transparency 2017: Report on Progress, Global Forum on Transparency and Exchange of Information for Tax Purposes, Global Cooperation on Tax Transparency and Exchange of Information, 2017, 43-47.*

<sup>21</sup> *Petruzzi, R., Spies, K., Tax Policy Challenges in the 21st Century, Series on International Tax Law, Lang, M., Ed., Linde Verlag, 2014, 77-78.*

<sup>22</sup> *Platteuw, C., Quick Reference to European VAT Compliance, Deloitte European Compliance Centre, Wolters Kluwer Law and Business, 2011, Ch. 6, 9-10.*

<sup>23</sup> *Schreiber, U., International Company Taxation: An Introduction to the Legal and Economic Principles, Springer Texts in Business and Economics, University of Mannheim, 2013, 46-48.*

აუცილებლად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ამის შესახებ კომპეტენტურ საგადასახადო ორგანოებს.<sup>24</sup>

კერძოდ, საგადასახადო ორგანოებისადმი შეტყობინების ვალდებულების წარმომშობი ფინანსური მექანიზმების ძირითადი მახასიათებლებია:<sup>25</sup>

- გადასახადებისაგან თავისუფალი იურისდიქციები: სპეციფიკური იურისდიქციების გამოყენება, რომლებიც არ აწესებს რაიმე გადასახადს ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის, ან აწესებს ძალიან დაბალ გადასახადებს, ან შედის ევროპული კავშირის „არა-თანამშრომლური“ იურისდიქციების სიაში;<sup>26</sup>
- ევროპული კავშირის იურისდიქციის გარეთ არსებული კომპანიები: როდესაც კომპანიები და ინსტიტუციები, რომლებიც არ ექვევა ევროპული კავშირის რეგულაციების მოქმედების სფეროში, გამოიყენება საგადასახადო საკითხებზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლისათვის;
- ინფორმაციის ავტომატურ გაცვლაზე არა-ვალდებული იურისდიქციები: შემოსავლის ნაწილის ან კაპიტალის გადაცემა იურისდიქციების გამოყენებით, რომლებიც არ არის შეზღუდული ინფორმაციის ავტომატური გაცვლის მექანიზმებით გადასახადის გადამხდელი რეზიდენტობის სახელმწიფოსთან;<sup>27</sup>
- სპეციალური დანიშნულების ადგილი გადასახადების „აცილებული“ ნაწილისათვის: საქმე, რომელშიც ფიქსირებული პროცენტული წილი ერიცხება სუბიექტს საკომისიოს სახით - შუამავლის სასარგებლოდ დაკავებული ანაზღაურება გაწეული მომსახურებებისათვის;<sup>28</sup>
- ფულის გათეთრების საწინააღმდეგო არაადეკვატური წესები: როდესაც საქმე ეხება იურისდიქციებს, რომელთა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულაციები არაადეკვატური ან ზედმეტად „რბილი“ აღმოჩნდება;
- ზარალი, რომელიც ამცირებს საგადასახადო პასუხისმგებლობას;<sup>29</sup> შეთანხმებაში გამოხატული დებულება, რომელიც იყენებს ზარალს გარკვეული პირობების არსებობისას საგადასახადო პასუხისმგებლობის შესამცირებლად;<sup>30</sup>
- გადასახადებისაგან გათავისუფლებული ანაზღაურება: როცა ანაზღაურება მოსალოდნელია სპეციალური შეთანხმებით, რომელიც იძლევა გადასახადისაგან გათავისუფლების გარანტიას იმ იურისდიქციაში, სადაც იგი უნდა დაიბეგროს;<sup>31</sup>
- სტანდარტული დაგეგმვის მექანიზმები: ამ შემთხვევაში საგადასახადო დაგეგმვის თაობაზე შუამავლის მიერ შეთავაზებული რჩევა ვრცელდება თანაბრად ერთზე მეტ გადასახადის გადამხდელზე *ad hoc* მექანიზმების გათვალისწინების გარეშე;<sup>32</sup>
- „რთულად შესაფასებელი“ არამატერიალური აქტივების გადაცემასთან დაკავშირებული შეთანხმება: აქტივების გადაცემა, რომელთა შინაარსის განმარტება და კლასიფიცირება რთულია;<sup>33</sup>
- აქტივების ნაწილის კონვერსია: ნაწილი შემოსავალი ან კლიენტის კაპიტალი კონვერტირდება პროდუქციასა თუ გადასახადებში, რომლებიც არ ექვემდებარება ინფორმაციის ავტომატურ გაცვლას.

<sup>24</sup> EU Directive 6804/18, Mandatory automatic exchange, 2.

<sup>25</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. დირექტივის პროექტის საპრეზიდენტო კომპრომისული ტექსტის (the compromise text of the Presidency of the draft directive) დანართი IV, პრეამბულა და ნაწილი C, პუნქტი 1.

<sup>26</sup> *Weimar, M. R.*, Identifying and Quantifying Rates of State Motor Fuel Tax Evasion, National Cooperative Highway Research Program, Transportation Research Board of the National Academies, 2008, 37-38.

<sup>27</sup> ამ საკითხზე იხ. OECD, OECD/G20 Base Erosion and Profit Shifting Project Country-by-Country Reporting - Compilation of Peer Review Reports, Inclusive Framework on BEPS Action 13, OECD Publishing, Paris, 2018.

<sup>28</sup> იხ., ასევე *Hugh, J. A., Brian, J. A.*, Comparative Income Taxation: A Structural Analysis, Aspen Publishers, 2004, 357.

<sup>29</sup> *Borroni, A.*, დასახ. ნაშრომი, მე-11 სქ., 246-251.

<sup>30</sup> *Crundwell, F.*, Finance for Engineers: Evaluation and Funding of Capital Projects, Springer, Library of Congress Cataloging in Publication Data, 2008, 253-254.

<sup>31</sup> *Blazek, J.*, Tax Planning and Compliance for Tax-Exempt Organizations: Rules, Checklists, Procedures, Wiley NonProfit Authority, fifth Ed., 1993.

<sup>32</sup> *Panayi, C. H. J. I.*, Advanced Issues in International and European Tax Law, Bloomsbury, Hart, 2015.

<sup>33</sup> *Contractor, F. J.*, Valuation of Intangible Assets in Global Operations, Library of Congress Cataloging in Publication Data, 2001, 347-348.

ეს არის, ზოგადად, ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც პოტენციურად ხელსაყრელი გადასახადებისათვის თავის არიდებისათვის/გადასახადების თავიდან აცილებისათვის კონკრეტული საგადასახადო დაგეგმვის მექანიზმის კლასიფიცირების საშუალებას იძლევა.<sup>34</sup>

თუმცა, როგორც უკვე ითქვა წინა პარაგრაფებში, მხოლოდ ამ ელემენტების არსებობა პირდაპირ არ უკავშირდება რისკებს. ფაქტობრივად, ისინი, თავისი არსით, ინდიკატორებია, რომ გააფრთხილონ ეროვნული კომპეტენტური ორგანოები პოტენციურად აგრესიულ საგადასახადო დაგეგმვის მექანიზმებზე.

#### 4. დირექტივის შინაარსის ანალიზი

დირექტივის მთავარი მიზანია გააძლიეროს საგადასახადო გამჭვირვალობა და დაუპირისპირდეს აგრესიულ საგადასახადო დაგეგმვას საგადასახადო სფეროში ადმინისტრაციული თანამშრომლობის შესახებ ამჟამინდელ 2011/16/EU დირექტივაში ახალი დებულებების შეტანით.

ამ საკანონმდებლო წინადადებით წამოწეული საკითხები რელევანტურია ევროპული კავშირისათვის და ფართო საერთაშორისო დღის წესრიგისათვისაც. ევროპული კავშირის საბჭომ გარე საგადასახადო სტრატეგიისა და საგადასახადო შეთანხმების დარღვევის საწინააღმდეგო ზომების შესახებ მის 2016 წლის დასკვნაში მოუწოდა ევროპულ კომისიას განეხილა საკანონმდებლო ინიციატივები სავალდებულო გამჟღავნების წესების შესახებ, რომელიც ეფუძნებოდა OECD-ს საფუძვლის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტის ქმედება 12-ს,<sup>35</sup> რათა შექმნილიყო უფრო ეფექტიანი შემაკავებელ [მექანიზმი] შუამავალთა წინააღმდეგ, რომლებიც ახორციელებდნენ კლიენტებისათვის გადასახადებისათვის თავის არიდების/გადასახადების თავიდან აცილების გეგმებს.

დირექტივის მიხედვით, ფინანსურ მრჩევლებს, ვინც ქმნიან კლიენტებისათვის მექანიზმებს, რომლებიც საჭიროებენ ზემოხსენებული ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტის არსებობას, ექნებათ შეტყობინების ვალდებულება თავიანთი ქვეყნის კომპეტენტურ საგადასახადო ორგანოებს. კერძოდ, ეს მოვალეობა ვრცელდება იმ საქმეებზეც კი, რომლებშიც სქემის გამოყენება ჯერ არ მომხდარა და მიუხედავად შესაძლებლობისა, რომ გადასახადებისათვის თავის არიდების/გადასახადების თავიდან აცილების რისკები კონკრეტული და გარდაუვალი გახდეს.<sup>36</sup>

სახელმწიფოთა ვალდებულების მიმართ, დირექტივა აწესებს რეჟიმს, რომ ისინი ავტომატურად უშვებენ საგადასახადო დაგეგმვის სქემებზე ფინანსური შუამავლებისაგან მიღებული ინფორმაციას მიმოქცევაში ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის მეშვეობით. ამ გზით, ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების ყველა ორგანოს შეეძლება დროული გაფრთხილების გარანტირება [გადასახადებისაგან] გვერდის ავლის ახალი პოტენციური რისკების შესახებ და, რაც მთავარია, სახელმწიფოებს მიეცემათ შესაძლებლობა, მოახდინონ რეაგირება სწრაფად იმ შემთხვევებში, როცა აუცილებელია სათანადო ღონისძიებების გატარება ნებისმიერი „სარისკო“ სიტუაციის დასაბლოკად, რათა შესაბამისი შემოწმებები უფრო ეფექტიანად განხორციელდეს.<sup>37</sup>

აქედან გამომდინარე, პრაქტიკული თვალთახედვით, აღნიშნულის გათვალისწინებით, კონკრეტული სახელმწიფოს მოვალეობა მიუთითოს კონკრეტულ

<sup>34</sup> European Commission, Tax Transparency for Intermediaries, Fair Taxation, 2017, <[https://ec.europa.eu/taxation\\_customs/sites/taxation/files/factsheet\\_intermediaries\\_proposal\\_06-2017.pdf](https://ec.europa.eu/taxation_customs/sites/taxation/files/factsheet_intermediaries_proposal_06-2017.pdf)>.

უკანასკნელად გადამოწმდა: 24/04/2018.

<sup>35</sup> Mandatory Disclosure Rules, ქმედება 12 მოიცავს რეკომენდაციებს სავალდებულო ინფორმაციის გამჟღავნების წესების შექმნისათვის აგრესიული საგადასახადო დაგეგმარების სქემებისათვის, საგადასახადო ადმინისტრატორების და ბიზნესის ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით და მიუთითებს ასეთი წესების მქონე მზარდი რიცხვის ქვეყანათა გამოცდილებაზე. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.oecd.org/ctp/beeps-actions.htm>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 01/06/2018.

<sup>36</sup> Kerzner, D. S., Chodikoff, D. W., დასახ. ნაშრომი, მე-10 სქ., 35-36.

<sup>37</sup> Weimar, M. R., დასახ. ნაშრომი, 26-ე სქ., 35-36.

რეჟიმზე, არ გულისხმობს პირდაპირ მის რისკიანობას.<sup>38</sup> არსებითად, მთავარი ელემენტი „პოტენციური რისკის გამოსაკვეთად, არის ხაზგასმა მხოლოდ კომპეტენტური საგადასახადო ორგანოების მიერ შუამავლების მიერ შეთავაზებული მექანიზმის შემოწმების აუცილებლობისა.

უფრო მეტიც, წევრმა სახელმწიფოებმა სათანადოდ მიიჩნიეს გამჭვირვალების ღონისძიებებისადმი დაუმორჩილებელი კომპანიების წინააღმდეგ ეფექტიანი და დამაბრკოლებელი სანქციების გამოყენება. ამგვარად, მიზანია, შეიქმნას ერთგვარი შემაკავებელი მექანიზმი გადასახადების თავიდან აცილებისა თუ გადასახადებისათვის თავის არიდების შესაძლებლობების ხელშემწყობი და დამხმარე შუამავლებისათვის.<sup>39</sup>

აღნიშნულის თემების გათვალისწინებით, დირექტივა მიზნად ისახავს ევროპული კავშირის პოზიციის გაძლიერებას საგადასახადო გამჭვირვალებასთან დაკავშირებით. მომავალში შუამავლებს ექნებათ ვალდებულება, კლიენტებისათვის შემუშავებული სქემები გაუზიარონ თავიანთი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგადასახადო ადმინისტრაციებს.<sup>40</sup>

საგადასახადო ადმინისტრაციებს, თავის მხრივ, ყველა საჭირო ინფორმაციაზე ექნებათ წვდომა აგრესიული საგადასახადო დაგეგმვის მექანიზმებთან საბრძოლველად, რისი მეშვეობითაც საგადასახადო ბაზების კონტროლია არის შესაძლებელი.<sup>41</sup>

ეს შეთანხმება კიდევ ერთი ნაბიჯია ევროპულ კავშირში უფრო მეტი ღიაობისაკენ და უფრო ეფექტიანი თანამშრომლობისაკენ, რაც ხელს უწყობს ევროპული კავშირის ყველა ქვეყანაში დაბეგვრის უფრო მეტ სამართლიანობასა და ეფექტიანობას.

ამ ხაზის გაგრძელებით, მომდევნო ქვეთავებში გაანალიზებულია დირექტივით დანერგილი მთავარი სიახლეები.

#### 4.1. პოზიტიური ასპექტები, რომლებიც არ საჭიროებენ მეტ გაუმჯობესებას

დირექტივით დანერგილი ზოგიერთი სიახლის მხედველობაში მიღებით, მათ შეიძლება ჰქონდეთ პოზიტიური ზეგავლენა გადასახადებისათვის თავის არიდების ფენომენისადმი კონკრეტულ და ეფექტიან დაპირისპირებაზე

ფაქტობრივად, პოტენციურ რისკებზე ინფორმაციის მიმოქცევის პროგნოზირების წყალობით, ფაქტობრივად, შემდგომში გადასახადებისათვის თავის არიდების დამოუკიდებლად, შესაძლებელია ფისკალური დაგეგმვის მექანიზმებზე კონტროლის შენარჩუნება. შუამავლების ამოცანაა ნებისმიერი ტრანსნაციონალური შეთანხმების მითითება, რომლის ფარგლებშიც წინა ქვეთავებში ნახსენები ერთი ან მეტი ელემენტი არის გათვალისწინებული, რაც შეიძლება მიანიშნებდეს შესაძლებლობაზე, რომ შემდგარია სპეციალური შეთანხმება გადასახადების გადახდის თავიდან აცილების წინააღმდეგ.<sup>42</sup>

ამ თვალსაზრისით, ინფორმაციის ეფექტური გაცვლა წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთდახმარების ფუნდამენტურ საშუალებას საგადასახადო საკითხებში და აფუძნებს საერთო საერთაშორისო საგადასახადო რისკების მართვას.<sup>43</sup>

<sup>38</sup> *Lai Lan Mo, P.*, Tax Avoidance and Anti-Avoidance Measures in Major Developing Economies, Praeger, Westport Connecticut, London, 2003, 2-3.

<sup>39</sup> *Hokamp, S., Gulyás, L., Koehler M., Wijesinghe, S.*, Agent-based Modeling of Tax Evasion: Theoretical Aspects and Computational Simulations, Wiley Series in Computational and Quantitative Social Science, Wiley, 2018, 6-8.

<sup>40</sup> *Gravelle, J. G.*, დასახ. ნაშრომი, მე-14 სქ., 5-6.

<sup>41</sup> *Brown, K. B.*, A Comparative Look at Regulation of Corporate Tax Avoidance, Springer, George Washington University Law School, 2012, 3-24.

<sup>42</sup> *Blazek, J.*, დასახ. ნაშრომი, 31-ე სქ.

<sup>43</sup> *Seer, R.*, Overview of Legislation Practices Regarding Exchange of Information Between National Tax Administration in Tax Matters, European Parliament, Directorate-General for Internal Policy, Economic and Monetary Affairs, 2015.



დირექტივა ადგენს საერთო სტანდარტს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის ევროპული კავშირის ფარგლებში ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე. სტანდარტიზაციის წესი მიზნად ისახავს რეალური ნორმატიული და ტექნიკური მოთხოვნების დაარსებას. მართლაც, OECD-ის ფარგლებში დადგენილი სტანდარტი<sup>44</sup> უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას და ქმნის ჩარჩოს ამგვარი გაცვლისათვის ევროპის გარე დონეზე.<sup>45</sup> ეს კავშირი ევროპული კავშირის დირექტივაში გადმოცემულსა და OECD-ის დებულებებს შორის არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უფრო ფართო ჩარჩო როგორც ევროპული კავშირის შიგნით, ისე მის გარეთ.

ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება წევრი სახელმწიფოების მიერ სისტემატურ საფუძვლებზე რეგულარულად, წინასწარ დადგენილი ინტერვალით და წინასწარი მოთხოვნის გარეშე.<sup>46</sup>

ინფორმაციის ეფექტური „ცირკულაციამ“ პოტენციურად აგრესიულ სასაზღვრო საგადასახადო დაგეგმვის მექანიზმებთან დაკავშირებით შეიძლება იქონიოს მნიშვნელოვანი შედეგი თანაბარი საგადასახადო სტანდარტების შექმნის ხელშეწყობისათვის სხვადასხვა ქვეყნების შიდა ბაზარზე. გარდა ამისა, კიდევ უფრო დადებითი ასპექტი შეეხება შესაძლებლობას, რომ წევრი სახელმწიფოების საგადასახადო ორგანოებს შეეძლოთ ინფორმაციის გაზიარება გამჭვირვალედ და ავტომატურად თავიანთ კოლეგებთან სხვა სახელმწიფოებიდან, სპეციალური მექანიზმების გავლისა თუ წინასწარი ავტორიზაციის გარეშე.<sup>47</sup>

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ შუამავლების მიერ შეთავაზებული საგადასახადო დაგეგმვის სქემების დიდ ნაწილს შეუძლია „მოძრაობა“ რამდენიმე იურისდიქციას შორის, ინფორმაციის ეფექტური და დროული კომუნიკაცია ამ მექანიზმებთან დაკავშირებით, მისცემს შესაძლებლობას წევრი სახელმწიფოების ორგანოებს ჰქონდეთ წვდომა პოტენციურად შესამოწმებელ პრობლემაზე დაუყოვნებელი რეაგირების გარანტირებისათვის საჭირო ყველა ინფორმაციაზე, ანუ იმოქმედონ სწრაფად სადაც აგრესიული საგადასახადო პრაქტიკა გამოიქვანდება.<sup>48</sup>

ინფორმაციის ავტომატური გაცვლის ხელშეწყობისა და რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციისათვის, გაცვლა უნდა განხორციელდეს კავშირის მიერ მომზადებული საერთო ქსელის (CCN) საშუალებით - ერთგვარი ცენტრალური მონაცემთა ბაზა, რომელშიც შესულია და დროულად მიმოიცივლება.<sup>49</sup> ეს ექვემდებარება არის უდიდესი მნიშვნელობის ელემენტი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ საერთო ქსელის მეშვეობით ინფორმაცია მყისიერად იქნება ხელმისაწვდომი.<sup>50</sup>

ამ დებულების მიზანია უზრუნველყოს უსაფრთხო ცენტრალური რეესტრი საგადასახადო სფეროში ადმინისტრაციულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით; კერძოდ, მისი შევსების მიზნით წევრი სახელმწიფოები იღებენ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს - ყველა საჭირო ინფორმაციის კომუნიკაციის სტანდარტიზებისათვის ყველა ზომის შესახებ.

<sup>44</sup> OECD, Automatic Exchange of Information, Implementation Report, 2017. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.oecd.org/tax/transparency/reporting-on-the-implementation-of-the-AEOI-standard.pdf>>.

უკანასკნელად გადამოწმდა: 24/05/2018.

<sup>45</sup> OECD, Standard for Automatic Exchange of Financial Account Information in Tax Matters, OECD Publishing, 2014.

<sup>46</sup> დირექტივის 8 (1) მუხლის მიხედვით, ხელმისაწვდომი ინფორმაცია ნიშნავს ინფორმაციას, რომელიც მოცულია წევრი სახელმწიფოს საგადასახადო ჩანაწერებში, რომელიც გადასცემს ინფორმაციის და შეიძლება მისი გაცნობა ინფორმაციის შეგროვებისა და გადამუშავების პროცედურების შესაბამისად შესაბამის წევრ სახელმწიფოში.

<sup>47</sup> OECD, Study into the Role of Tax Intermediaries, OECD Publishing, 2008, 30-31.

<sup>48</sup> EU Directive 6804/18, Annex I (3).

<sup>49</sup> Ivi, Annex I (13).

<sup>50</sup> Kerzner, D. S., Chodikoff, D. W., დასახ. ნაშრომი, მე-10 სქ., 296-297.

უფრო მეტიც, დირექტივა ასევე იძლევა განმარტებებს ინფორმაციის გაცვლის სისტემაში გამოსაყენებელი ენის შესახებ. ფაქტობრივად, გაუგებრობების ან ინფორმაციის გადათარგმნიდან წარმოქმნილი პოტენციური შეუსაბამობების თავიდან ასაცილებლად, სემანტიკური თვალსაზრისით, ერთიანობის პროგნოზი უდავოდ ფუნდამენტური ელემენტია. ეს ასპექტი ხელს შეუწყობს სიცხადისა და გამჭვირვალობის მაღალ დონეს, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ დირექტივა ითვალისწინებს ზოგიერთ შემთხვევას, როდესაც სხვადასხვა ენის გამოყენება შესაძლებელია.<sup>51</sup>

სასურველი იქნება, როგორც დირექტივითაა შეთავაზებული, ამ საერთო სტანდარტების შექმნის უზრუნველყოფა მომდინარეობდეს კომისიიდან, რათა არსებობდეს *super partes* ორგანო მინიმალური საერთო ელემენტების შესაქმნელად.

#### 4.2. ელემენტები, რომლებიც საჭიროებს მეტ დახვეწას

დირექტივით დანერგილი სიახლეები მნიშვნელოვანია გადასახადებისაგან თავის არიდების ფენომენთან საბრძოლველად და, უპირველეს ყოვლისა, აუმჯობესებს გამჭვირვალობის ხარისხსა და აძლიერებს თანამშრომლობას ევროპული კავშირის წევრი სხვადასხვა სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოების მხრიდან.

თუმცადა, ზოგიერთი ამონარიდი დირექტივიდან არ არის ნათელი ან, სულ მცირე, აქვს ნაკლოვანება და საჭიროებს განვრცობას. ეს საკითხები მომდევნო ნაწილებშია გაანალიზებული და ნაკლოვან მუხლების განვრცობის შესაძლებლობებზეა მსჯელობა.

ერთ-ერთი ელემენტი, რომელსაც სჭირდება გაუმჯობესება, შეეხება ე.წ. „ძირითად სარგებლის ტესტს“.<sup>52</sup> ეს პრინციპი სრულდება საქმეებში, სადაც ერთ-ერთ მთავარ სარგებელი საგადასახადო უპირატესობის მოპოვებაა, ხოლო მიღწევის მექანიზმი ექვემდებარება შეტყობინების ვალდებულებას.<sup>53</sup>

რამდენიმე სახელმწიფოს დელეგაციათა პოზიციები გაიყო ამასთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის ავტომატური გაცვლა უნდა წარმოებდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა სახეზეა მექანიზმი, რომელიც ატარებს ძირითადი უპირატესობის ნიშნებს, წევრი სახელმწიფოებისა და დაკავშირებული საგადასახადო ორგანოების საქმიანობის ინფორმაციით გადატვირთვით გართულების თავიდან ასაცილებლად. მეორე მხრივ, ქვეყნებმა გამოხატეს მისწრაფება ძირითადი უპირატესობის კრიტერიუმის, შეძლებისდაგვარად, გაფართოებისაკენ მასში შესაძლო ინფორმაციის მაქსიმალური რაოდენობით შესატანად, ფაქტობრივად, კრიტერიუმის საერთოდ არსებობისაგან დამოუკიდებლად. განზრახვა, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში იყო ინფორმაციის სრული და ეფექტური გაცვლის გარანტირება, რითაც ამ ორგანოებს ამოცანად დარჩებოდა ტრანს-სასაზღვრო საგადასახადო დაგეგმვის მექანიზმების არსებობა-არარსებობის დადგენა.<sup>54</sup>

სასურველი იქნებოდა და, შესაძლოა, უფრო მეტად ეფექტურიც, ამ კრიტერიუმის შინაარსის აღქმა, შეძლებისდაგვარად ფართოდ. ეს, ერთი მხრივ, კომპეტენტური საგადასახადო ორგანოებს მისცემდა უფრო მეტი რაოდენობის სამუშაოს, თუმცადა, მეორე მხრივ, არ დარჩებოდა გაურკვეველი სიტუაციები, რამდენადაც გაანალიზდებოდა შუამავლების მიერ კლიენტებისათვის შეთავაზებული ყველა საგადასახადო მექანიზმი.<sup>55</sup>

<sup>51</sup> *De Broe, L., International Tax Planning and Prevention of Abuse, A Study under Domestic Tax Law, Tax Treaties and EC Law in relation to Conduit and Base Companies, Doctoral Series, Academic Council, 2008, 339.*

<sup>52</sup> EU Directive 6804/18, Annex I (13).

<sup>53</sup> *Prosser, K. J., Murray, R.,* დასახ. ნაშრომი, მე-12 სქ., 147.

<sup>54</sup> *Hugh, J. A., Brian, J. A.,* დასახ. ნაშრომი, 28-ე სქ., 17-19.

<sup>55</sup> *Prosser, K. J., Murray, R.,* დასახ. ნაშრომი, მე-12 სქ., 147-149.

ამ თვალსაზრისით, ეფექტიანობის წონა გაიზრდებოდა, საგადასახადო ორგანოების სამუშაო დატვირთვასთან შედარებით. ფაქტობრივად, გაცხადებულია, რომ აუცილებელია კომისიისათვის ინფორმაციის საკმარის რაოდენობაზე წვდომის მინიჭება, რათა მან შეემდოს დირექტივის სათანადოდ აღსრულების მონიტორინგი.<sup>56</sup>

დირექტივის კიდევ ერთი დებულება, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას, უკეთესი განმარტების უზრუნველსაყოფად, ზოგადად, არის მე-8 მუხლი. კერძოდ, ესაა პუნქტი, რომელიც შეეხება „შეტყობინების მოთხოვნას დაქვემდებარებულ სასაზღვრო მექანიზმების შესახებ ინფორმაციის სავალდებულო ავტომატური გაცვლის მოცულობასა და პირობებს“.<sup>57</sup> კონკრეტულად, ამ მუხლით ჩანს, რომ წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, მიიღოს აუცილებელი ზომების მიღება, რათა დაავალდებულოს შუამავლები გადასცენ ინფორმაცია კომპეტენტურ ორგანოებს შეტყობინების ვალდებულებას დაქვემდებარებულ ტრანს-სასაზღვრო მექანიზმებზე.<sup>58</sup>

ამასთან დაკავშირებით, მთავარი გაურკვევლობა შეეხება ევროპული კავშირის მასშტაბით მწყობრი და გაზიარებული ნორმატიული ბაზის ნაკლებობას. კერძოდ, დირექტივის მე-8 მუხლის დებულება შეიძლება, ჩაითვალოს პრობლემად იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რაც აძლევს თვითრეგულირების უფლებას სახელმწიფოებს, მოწესრიგების ურთიერთ შეუთავსებლობის თანმდევი რისკის წარმოქმნის შედეგით.

უფრო მეტიც, მე-8 მუხლი შეეხება სავალდებულო შეტყობინებისაგან გათავისუფლების უფლებას ზოგიერთ სპეციფიკურ შემთხვევაში. მაგალითად, შეტყობინების მოთხოვნას დაქვემდებარებული ტრანს-სასაზღვრო მექანიზმების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისაგან გათავისუფლება შეიძლება იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ვალდებულება არღვევს იურისტის (შუამავლის) პროფესიული საიდუმლოს შენახვის პრინციპს წევრი სახელმწიფოების შიდა წესების საფუძველზე.<sup>59</sup> უდავოდ, ეს შეიძლება, იყოს საორჭოფო ელემენტი, ან მეტად ზღუდავდეს დირექტივის შინაარსს; ამ თვალსაზრისით, ეს ზოგიერთ შემთხვევაში ტოვებს ინფორმაციის გადაცემის თავიდან აცილების რამდენიმე შესაძლებლობას.<sup>60</sup>

ეს არის მხოლოდ მაგალითი, მაგრამ აშკარაა, რომ ამ სახის სიტუაციებს შეიძლება ჰქონდეს ნეგატიური შედეგები დირექტივის ეფექტიანად გამოყენებაზე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ის აძლევს ფართო დისკრეციას ორივეს - როგორც სახელმწიფოებს, ასევე შუამავლებს.

ამ მიზეზით, უკეთესი იქნებოდა სპეციალური მარეგულირებელი ჩარჩოს უზრუნველყოფა, რომელიც საერთო იქნებოდა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის იმგვარად, რომ არ დატოვებდა განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობას.

იგივე პრობლემა იკვეთება, ასევე შუამავლების მიმართ გამოსაყენებელ სანქციებთან მიმართებითაც. ამ სპეციფიკურ საკითხზე, ფაქტობრივად, დირექტივაში მოცემულია, რომ „ეფექტიანობის პერსპექტივის გასაუმჯობესებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ სანქციები ამ დირექტივის საიმპლემენტაციო ეროვნული დებულებების დარღვევის საწინააღმდეგოდ და უზრუნველყონ, რომ ეს სანქციები იყოს ეფექტიანად გამოყენებული პრაქტიკაში, პროპორციული და შემაკავებელი ეფექტით.“<sup>61</sup>

ამასთან, ამ შემთხვევაში შეიძლება, არსებობდეს განსხვავებები სანქციებს შორის. ზოგიერთ სახელმწიფოში ისინი ითვლება ძალიან „რბილად“, რაიმე შემაკავებელი ძალის

<sup>56</sup> EU Directive 6804/18, Annex I (6).

<sup>57</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Seiler, M.*, GAARs and Judicial Anti-Avoidance in Germany, the UK and the EU, Series on International Tax Law, Lang, M. Ed., Linde Verlag, 2014.

<sup>58</sup> EU Directive 6804/18, Annex I, art. 8aaa, 22.

<sup>59</sup> *Monsenego, J.*, Taxation of Foreign Business Income Within the European Internal Market: An Analysis of the Conflict between the Objective of Achievement of the European Internal Market and the Principles of Territoriality and Worldwide Taxation, IIBFD Doctoral Series, Vol. 22, 2012, 204-205.

<sup>60</sup> *Campbell, D.*, International Taxation of Low-Tax Transactions, Low Tax Jurisdiction II, Yorkhill Law Publishing, 2009, Double Taxation Treaties (DTT), 17-18.

<sup>61</sup> EU Directive 6804/18, Annex I, art. 25 bis.

არმქონედ, როცა, საპირისპიროდ, სხვა შემთხვევებში, ისინი ძალიან მკაცრად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>62</sup>

გარდა ამისა, სანქციებთან მიმართებით, დირექტივამ უნდა უზრუნველყოს საერთო სტრუქტურა სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში. ამის მიზანი იქნება ნორმატიული განსაზღვრულობის ეფექტიანი უზრუნველყოფა, რათა მოხდეს დირექტივის იმპლემენტაცია, რაც შეიძლება, ეფექტიანად; ეს ელემენტები უნდა მოდიოდეს „ზემოდან“, ევროპული კავშირიდან და არ უნდა რჩებოდეს ცალკეული წევრი სახელმწიფოების დისკრეციაში.<sup>63</sup>

#### 4.3. OECD-ის „საფუძვლის შემცირებისა და მოგების გადატანის“ (BEPS) პროექტის ანალიზი დირექტივის კრილში

